# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 02 სექტემბერი, 2014 წელი

საკონკურსო კომისიის და მისი აპარატის წევრები ვადასტურებთ, რომ **ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის** მომსახურების შესყიდვის მიზნით 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებულ N 1318 კონკურსზე, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე /ნიკოლოზ ანთიძე/

კომისიის წევრი /გიორგი სოსანიძე/

კომისიის წევრი /გიორგი გორდელაძე/

კომისიის წევრი /გიორგი მისრიაშვილი/

კომისიის აპარატის წევრი /ეკატერინე ბოლქვაძე/

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი 03.09.2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

**ნიკოლოზ ანთიძე** – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, გენერალური დირექტორი.
**გიორგი სოსანიძე** - საკონკურსო კომისიის წევრი, ძეგლთა შეფასება-რეაბილიტაციის სამსახურის უფროსი.
**გიორგი გორდელაძე** - საკონკურსო კომისიის წევრი, ტექნიკური შეფასების განყოფილების უფროსი.
**გიორგი მისრიაშვილი** - საკონკურსო კომისიის წევრი, რეგიონალური ურთიერთობის სამსახურის მთ.სპეციალისტი.
**ეკატერინე ბოლქვაძე** – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – ადმინისტრაციულ-ფინანსური დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
**პაატა გაფრინდაშვილი** _ საკონკურსო კომისიის წევრი, გენერალური დირექტორის მოადგილე სამსახურებრივი მივლინების გამო.
**გიგლა ჭანუყვაძე** - საკონკურსო კომისიის წევრი, ძეგლთა შეფასება-რეაბილიტაციის სამსახურის მთ.სპეციალისტი შვებულების გამო.
**დიანა ბოლოთაშვილი** - საკონკურსო კომისიის წევრი, რეაბილიტაციის დაგეგმვის განყოფილების უფროსი დეკრეტული შვებულების გამო.
**გუგა გოგაძე** – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – ადმინისტრაციულ-ფინანსური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი შვებულების გამო.

დღის წესრიგი:

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებული N 1318 კონკურსის შედეგების განხილვა.

კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 2 (ორი) კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება:

1. შპს „სამანი";
2. შპს „კარაბანი".

კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები:

1. კონკურსანტების რეკვიზიტები (იხ. დანართი #1);
2. კონკურსანტების პროფესიული გამოცდილება (მსგავსი სახის პროექტებში მონაწილეობა, თანაავტორობა და ა.შ.) შესაბამისი პროექტების ჩამონათვალითა და მასში საკუთარი სტატუსის მითითებით;
3. ინფორმაცია ყველა მონაწილის კვალიფიკაციისა და პროექტირების გამოცდილების შესახებ.
4. სადემონსტრაციო მასალები:

4.1. ძეგლის არსებული მდგომარეობის აღწერა, ფოტოფიქსაცია, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასება;

4.2. ძეგლის საჭიროებებიდან გამომდინარე ყველა მომიჯნავე დარგის სპეციალისტის რეკომენდაციები ძეგლის მდგომარეობისა თუ მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით დასაშვები ჩარევის შესახებ;

4.3. ძეგლის დაზიანებებსა და არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოვლენილი მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით, სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის, ტიპისა და სახეობის განსაზღვრა და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;

4.4. ძეგლის არსებული მდგომარეობიდან და დაზიანებებიდან გამომდინარე, მისი გაჯანსაღებისათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალი.

5. საკონკურსო წინადადებები და საკონკურსო წინადადების ფასები;
6. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და სავარაუდო მომსახურების ხარჯთაღრიცხვები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით *(დღგ-ს გარეშე);*
7. აფიდავიტი შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ (იხ. დანართი #2).

საკონკურსო კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით (სამი-მომხრე, ერთი -წინააღმდეგი) უპირატესობა მიენიჭა კონკურსანტის შპს „კარაბანი"-ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას.

კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსანტის - შპს „კარაბანი"-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

2. ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსზე გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „კარაბანი".

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი - „გამარჯვებული გამოვლენილია";

4. ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მე-11 მუხლის შესაბამისად, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის

ვადაში (2014 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით) გამარჯვებულ კონკურსანტთან შპს „კარაბანთან“ გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულება;

5. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მონაწილე კონკურსანტებს შპს „სამანს“ და შპს „კარაბანს“.

კომისიის თავმჯდომარე /ნიკოლოზ ანთიძე/

კომისიის წევრი /გიორგი სოსანიძე/

კომისიის წევრი /გიორგი გორდელაძე/

კომისიის წევრი /გიორგი მისრიაშვილი/

კომისიის აპარატის წევრი /ეკატერინე ბოლქვაძე/

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

<u>ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსში N 1318 მონაწილე კონკურსანტები:</u>

1. შპს „სამანი"
2. შპს „კარაბანი"

უპირატესობას ვანიჭებ შ.პ.ს. „სამანი"

უპირატესობის მინიჭების საფუძველი

[illegible]

______________________
(სახელი, გვარი)

______________________
(ხელმოწერა)

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

<u>ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსში N 1318 მონაწილე კონკურსანტები:</u>

1. შპს „სამანი"
2. შპს „კარაზანი"

უპირატესობას ვანიჭებ ______შპს „სამანი"

უპირატესობის მინიჭების საფუძველი

_____შპს „სამანის" მიერ საკონკურსო წინადადების სავალდებულო მასალა წარმოდგენილია მეტი სრულყოფილებით და ინფორმაციით, მათ შორის პირველადი ანაზომებით (კროკები), ჩასატარებელი გამაგრებითი სამუშაოების წინასწარი ჩამონათვალით.

გ. სოსანიძე

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
მომსახურების შესყიდვის კონკურსში N 1318
მონაწილე კონკურსანტები:

1. შპს „სამანი"
2. შპს „კარაბანი"

უპირატესობას ვანიჭებ შპს „კარაბანი"

უპირატესობის მინიჭების საფუძველი

წარმოდგენილი მასალა კარგია. ძეგლის სრულყოფილად
აღდგენისათვის საჭირო დოკუმენტები პროექტში
გათვალისწინებულია პროექტირებისათვის საჭირო
მონაცემების განსაზღვრა.

გიორგი გორდეზიაძე
(სახელი, გვარი)

[signature]
(ხელმოწერა)

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსში N 1318 მონაწილე კონკურსანტები:

1. შპს „სამანი“
2. შპს „კარაბანი“

უპირატესობას ვანიჭებ შპს „სამანი“

უპირატესობის მინიჭების საფუძველი

წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად ასახავს ძეგლის დეტალურ მდგომარეობას; უკეთ ხდება ძეგლის სრულყოფილი მიდგომა

გიორგი ბიხიაშვილი
(სახელი, გვარი)

გ. [signature]
(ხელმოწერა)

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
**Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation**

№ 10/08/2/1241 „03“ 09 2014წ.

შპს „სამანის“

გაცნობებთ, რომ სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს მიერ ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებული N 1318 კონკურსზე გამარჯვებულად დამოვლინდა შპს „კარაბანი“.

სააგენტოს
გენერალური დირექტორი,
კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ ანთიძე

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. 2 932 411, 2 932 394; ფაქსი (+995 32) 2 932 394
**5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Georgia. Fax (+995 32) 2 932 394, Phone 2 932 411, 2 932 394**
**www.heritagesites.ge**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
**Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation**

№ 10/08/2/1240 „03“ 09 2014წ.

შპს „კარაბანს“

გაცნობებთ, რომ სსიპ “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ **ნასოფლარ კართანას (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის** მომსახურების შესყიდვის მიზნით საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებული N 1318 კონკურსზე გამოვლინდით გამარჯვებულად.

გთხოვთ, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში 2014 წლის 9-10 სექტემბერს მობრძანდეთ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ში „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების გასაფორმებლად მისამართზე: ქ.თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

სააგენტოს
გენერალური დირექტორი,
კომისიის თავმჯდომარე

ნიკოლოზ ანთიძე

0105. ქ.თბილისი. თაბუკაშვილის ქ. №5, ტელ. 2 932 411, 2 932 394; ფაქსი (+995 32) 2 932 394
5 Tabukashvili str. Tbilisi 0105. Georgia. Fax (+995 32) 2 932 394, Phone 2 932 411, 2 932 394
www.heritagesites.ge